საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„როიალ პლასტიკ“**-ის დირექტორის

ბ-ნი მეჰმეთ აჩიქბაშის

ტელ: **577 14-17-67**
besikkoridze@mail.ru

# სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „როიალ პლასტიკ“, ქალაქი ბათუმში, ოპიზრების ქუჩა N32, ს/კ 05.32.23.010**, გეგმავს **პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენის) საწარმოს მოწყობას.** ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X=719165.00; Y=4607630.00)

აღნიშნულ საწარმოში დაიგეგმა მეორადი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენების ნარჩენების (კოდებით 02 01 04; 07 02 13; 15 01 02; 16 01 19; 19 12 04; 20 01 39) გადამუშავება, რომელიც ძირითადად შემოტანილი იქნება საქართველოში სხვადასხვა წარმოებებიდან, რომლებსაც წარმოექმნებათ აღნიშნული სახის ნარჩენები (აღდგენის კოდი R3). ასევე ზემოთ აღნიშნული ნარჩენების შემოტანა განხორციელდება სხვა ქვეყნებიდან. აღნიშნული ნარჩენების შემოტანა სხვა ქვეყნებიდან განხორციელდება სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო კოდით: 3915.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №259 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის“ შესაბამისად კოდია **B3010.**

საწარმოში შემოტანი ნარჩენები იქნება გასუფთავებული (გარეცხილი) და დაქუცმაცებული ან შესაბამისად შეფუთული პლასტმასის ნარჩენების იმპორტის დადგენილების შესაბამისად; შესაბამისად საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით არ ხდება ნედლეულის რეცხვა და საწარმოო მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი’’-ს II დანართის მე-10 პუნქტის, 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით **მეჰმეთ აჩიქბაში**

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;

№ 6768
15 04 21